თიბისი კონცეპტ მომსახურების შესახებ ხელშეკრულება

1. ხელშეკრულების საგანი

1.1. ბანკი, მის მიერ დადგენილი კრიტერიუმების საფუძველზე კლიენტს (შემდგომში „თიბისი კონცეპტ კლიენტი“ ან „კლიენტი“) სთავაზობს პერსონალურ საბანკო მომსახურებას, რაც გულისხმობს პერსონალური ბანკირის მიერ თიბისი კონცეპტ კლიენტისთვის ბანკში არსებულ ყველა საბანკო პროდუქტთან დაკავშირებით მაქსიმალურად სწრაფ და კომფორტულ საბანკო მომსახურებას, ბანკის მიერ განსაზღვრულ განსაკუთრებულ ფორმატში. თიბისი კონცეპტ კლიენტი ყველა ცალკეული სახის საბანკო მომსახურებას მიიღებს საბანკო მომსახურების შესახებ შესაბამისი ხელშეკრულებით (მათ შორის წინამდებარე ხელშეკრულებით) განსაზღვრული წესითა და მისთვის შეთავაზებული ტარიფებით.

2. მომსახურების აღწერა და პირობები

2.1. ბანკი თიბისი კონცეპტ კლიენტს მიაწვდის შემდეგი სახის საბანკო მომსახურებას:
დისტანციური მომსახურება – იგულისხმება თიბისი კონცეპტ კლიენტის მიერ, პერსონალური ბანკირისთვის ელექტრონული ფოსტით, მობილური ტელეფონით, ინტერნეტბანკით, მობაილბანკით, SMS კოდით (შემდგომში „დისტანციური საშუალება/ები“) საბანკო ოპერაციების / გადარიცხვების შესასრულებლად და/ან სხვადასხვა საბანკო (მათ შორის საკრედიტო და/ან სადეპოზიტო) პროდუქტების მისაღებად დავალების მიცემა/დადასტურება ან ბანკის მიერ შეთავაზებული საბანკო (მათ შორის საკრედიტო და/ან სადეპოზიტო) პროდუქტების მიღება/დადასტურება ბანკის მიერ განსაზღვრული წესებით, პირობებითა და ლიმიტების ფარგლებში.
2.2. საბანკო მომსახურების/პროდუქტების ჩამონათვალი, რომელთა მიღება და შესაბამისი გარიგებების გაფორმებაშესაძლებელია დისტანციური საშუალებებით ჩამოთვლილია წინამდებარე ხელშეკრულების N1 დანართში (შემდგომში
„საბანკო მომსახურება“ ან „თიბისი კონცეპტ მომსახურება“). წინამდებარე პუნქტში მითითებული დანართი არ გამორიცხავს სხვა სახის საბანკო მომსახურებასთან / პროდუქტებთან დაკავშირებული გარიგებების გაფორმებას დისტანციური საშუალებებით (ბანკის მიერ ასეთი გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში).
2.3. საბანკო მომსახურების მიღება შესაძლებელია კლიენტის მიერ შესაბამისი დავალების/მოთხოვნის დაფიქსირების, ბანკის მიერ დადებითი გადაწყვეტილების მიღებისა და შესაბამისი გარიგებების გაფორმების შემთხვევაში და/ან ბანკის მიერ შეთავაზებული მომსახურების მიღებაზე კლიენტის მიერ თანხმობის გაცხადების, ბანკის მიერ დადგენილი მოთხოვნების დაკმაყოფილებისა და შესაბამისი გარიგებების გაფორმების შემთხვევაში.

3. მომსახურების მიღების პირობები

3.1. თიბისი კონცეპტ მომსახურების შეთავაზება ხდება ბანკის იმ კლიენტებისათვის, რომლებიც აკმაყოფილებენ ბანკის მიერ ცალმხრივად დადგენილ თიბისი კონცეპტ მომსახურების კრიტერიუმებს.
3.2. ბანკის მიერ დადგენილი კრიტერიუმის დარღვევის შემთხვევაში, თიბისი კონცეპტ კლიენტს მიეცემა 3 (სამი) თვიანი საშეღავათო პერიოდი, რომლის განმავლობაში მას პერსონალური ბანკირი ისევ მოემსახურება.
3.3. იმ შემთხვევაში, თუ საშეღავათო პერიოდის დასრულებამდე თიბისი კონცეპტ კლიენტის მიერ არ მოხდება ბანკის მიერ დადგენილიკრიტერიუმის აღდგენა, ბანკი უფლებამოსილია ცალმხრივად შეწყვიტოს თიბისი კონცეპტ მომსახურების შესახებ ხელშეკრულება და აღარ შეთავაზოს კლიენტს მომსახურების განსაკუთრებული პირობები, რის შემდეგაც კლიენტი მიიღებს ბანკში არსებულ სტანდარტულ მომსახურებას.

4. მხარეთა უფლება-მოვალეობები

4.1. **თიბისი კონცეპტ კლიენტს უფლება აქვს:**

4.1.1. პერსონალურ ბანკირს მისცეს/დაადასტუროს დავალებები საბანკო მომსახურების მიღების შესახებ წერილობითი ფორმით და/ან დისტანციური საშუალებებით, ფიზიკური პირის საბანკო ოპერაციების წარმოების შესახებ ხელშეკრულებითა და წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული წესით.
4.1.2. საკუთარი შეხედულებისამებრ შეარჩიოს ბანკის მიერ შეთავაზებული საბანკო მომსახურებიდან მისთვის სასურველი საბანკო პროდუქტი, რისთვისაც იგი ავსებს განაცხადის შესაბამის ფორმას და ასრულებს ბანკის მიერ დადგენილ მოთხოვნებს.
4.1.3. მოითხოვოს დამატებითი ინფორმაცია და პერსონალური ბანკირის კონსულტაცია ნებისმიერსაბანკო
მომსახურებასთან დაკავშირებით;
4.2. **თიბისი კონცეპტ კლიენტი ვალდებულია:**

4.2.1. შესაბამისი საბანკო მომსახურების მისაღებად (მათ შორის საბანკო ოპერაციების განხორციელებისას) შეასრულოს ფიზიკური პირის საბანკო ოპერაციების წარმოების შესახებ ხელშეკრულებითა და წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობები/ვალდებულებები, აგრეთვე დაიცვას ბანკის მიერ განსაზღვრული ლიმიტები, წინაპირობები და წესები.

4.2.2. უზრუნველყოს ბანკში მოუსვლელად ჩატარებული გადარიცხვის/კონვერტაციის ოპერაციების ნამდვილობის (კანონიერების) დამადასტურებელი დოკუმენტების ხელმოწერა ბანკის მიერ ოპერაციის შესრულებიდან არაუგვიანეს 5 (ხუთი) სამუშაო დღისა - იმ შემთხვევაში, თუ დავალება არ იქნება დადასტურებული ელ-ფოსტით, SMS კოდით ან ინტერნეტ-ბანკით ბანკის მიერ განსაზღვრული წესებისა და ლიმიტის ფარგლებში.

4.2.3. უზრუნველყოს ანგარიშის/დეპოზიტის/ბარათის გახსნის/დახურვის/შეწყვეტის და ელექტრონული პროდუქტებით სარგებლობის, რეგისტრაციის/გაუქმების საბუთების ხელმოწერა ბანკის მიერ დავალების შესრულებიდან 1 (ერთი) კალენდარული თვის განმავლობაში, თუ დავალება არ იქნება დადასტურებული ელ-ფოსტით, SMS კოდით ან ინტერნეტ-ბანკით ამ ხელშეკრულებითა და ბანკის მიერ განსაზღვრული წესების, პირობებისა და ლიმიტის ფარგლებში.

4.2.4. პერსონალური ბანკირის ან ბანკის სხვა დასაქმებულის მოთხოვნის შემთხვევაში, მიაწოდოს მოთხოვნის ავტორს ნამდვილი, დეტალური და ზუსტი ინფორმაცია მის მიერ განხორციელებულ/განსახორციელებელ ფინანსურ/საბანკო ოპერაციებთან დაკავშირებით.

4.2.5. დაიცვას ამ ხელშეკრულების პირობები.

4.2.6. კონფიდენციალურად შეინახოს მასზე გადაცემული კოდები, პაროლები თუ სხვა მაიდენტიფიცირებელი საშუალებები. ამასთან, ამ მუხლით განსაზღვრული ინფორმაციის დაკარგვის ან/და ეჭვის გაჩენის შემთხვევაში დაუყოვნებლივ აცნობოს ბანკს. თუ მესამე პირისთვის ზემოთაღნიშნული ინფორმაცია ბანკის ბრალეულობის გარეშე გახდება ცნობილი, ბანკი თავისუფლდება ყოველგვარი პასუხიმგებლობისაგან ამით გამოწვეულ შედეგ(ებ)ზე.

4.2.7. ბანკის მოთხოვნის შემთხვევაში პერსონალურ ბანკირს ან ბანკის წარმომადგენელს წერილობით და/ან ბანკისთვის მისაღები ფორმით დაუდასტუროს მის მიერ დისტანციურად გაცემული/წარდგენილი საბანკო დავალება/მოთხოვნა და/ან დისტანციური საშუალებებით საბანკო მომსახურების მიღების ფაქტი, წინააღმდეგ შემთხვევაში ბანკი იტოვებს უფლებას, არ შეასრულოს მსგავსი დავალებები და/ან შეუწყვიტოს კლიენტს საბანკო მომსახურების გაწევა.

4.2.8. დაიცვას კონფიდენციალური ინფორმაცია, რაც თიბისი კონცეპტ კლიენტისთვის ცნობილი გახდება ბანკთან სახელშეკრულებო ურთიერთობისას.

4.3. **წინამდებარე ხელშეკრულებაზე ხელმოწერით თიბისი კონცეპტ კლიენტი აცნობიერებს და ადასტურებს შემდეგ გარემოებებს:**

4.3.1. მხარეთა შორის ნებისმიერი შეტყობინება ხორციელდება წერილობით, ან მათ შორის გაფორმებული/გასაფორმებელი ხელშეკრულებით გათვალისწინებული სხვა ფორმით. წერილობითი შეტყობინება მხარეს უნდა გადაეცეს შეტყობინების გამგზავნისთვის ცნობილ ბოლო მისამართზე.

4.3.2. ბანკს შეუძლია შეტყობინებისთვის გამოიყენოს კომუნიკაციის ნებისმიერი საშუალება (მათ შორის ელექტრონული, ციფრული, სატელეფონო და სხვა).

4.3.3. ბანკი პასუხს არ აგებს კლიენტის მიერ ბანკისთვის მიწოდებული საკონტაქტო ინფორმაციის შესაბამისად / ელექტრონული კომუნიკაციის (ელ. ფოსტა, მობილური ტელეფონი, ინტერნეტბანკი, მობაილბანკი) საშუალებებით ბანკის მიერ გაგზავნილი შეტყობინების ან სხვა ნებისმიერი ინფორმაციის ამსახველი დოკუმენტაციის სხვა პირის მიერ მიღებით გამოწვეულ შედეგ(ებ)ზე.

4.3.4. ბანკი პასუხს არ აგებს კლიენტის მიერ ბანკისთვის მიწოდებული საკონტაქტო ინფორმაციის / ელექტრონული კომუნიკაციის (ელ. ფოსტა, მობოლური ტელეფონი, ინტერნეტბანკი, მობაილბანკი) საშუალებიდან სხვა პირის მიერ გამოგზავნილი შეტყობინების ან სხვა ნებისმიერი ინფორმაციის ამსახველი დოკუმენტაციის ბანკის მიერ მიღებით და შესაბამისად ქმედების განხორციელებით/ქმედების განხორციელებისაგან თავის შეკავებით გამოწვეულ შედეგ(ებ)ზე.

4.3.5. კლიენტის მიერ ბანკისთვის მიწოდებული საკონტაქტო ინფორმაციის / ელექტრონული კომუნიკაციის (ელ. ფოსტა, მობილური ტელეფონი, ინტერნეტ ბანკი, მობაილბანკი) საშუალებით ბანკისთვის გაგზავნილ ნებისმიერ შეტყობინებას/ დასტურს / დავალებას / მოთხოვნას / განაცხადს (მათ შორის ნებისმიერი გარიგების დადასტურებას/გაფორმებას და/ან ხელმოწერილი გარიგების დისტანციური საშუალებებით გაგზავნას) აქვს კლიენტის მიერ დადასტურებული (წერილობითი ფორმით შესრულებული), ქაღალდზე დაბეჭდილი და ხელმოწერილი დოკუმენტის ტოლფასი იურიდიული ძალა.

4.3.6. წინამდებარე ხელშეკრულებით კლიენტი აცხადებს თანხმობას, რომ ბანკი უფლებამოსილია დისტანციური საშუალებ(ებ)ით კლიენტის მიერ დაფიქსირებული ნებისმიერი მოთხოვნა/დავალება/განაცხადი, ამავე დისტანციური საშუალებ(ებ)ით გაფორმებული ნებისმიერი გარიგება (მათ შორის კლიენტის განცხადება/დასტური საბანკო მომსახურების მიღებასთან დაკავშირებით) დაფიქსირდეს (ჩაიწეროს) ბანკის მონაცემთა ელექტრონულ ბაზაში და დავის შემთხვევაში ასეთ

ჩანაწერს (არსებობის შემთხვევაში) ჰქონდეს მტკიცებულებითი ძალა (გამოყენებული იქნეს მტკიცებულებად). დისტანციური საშუალებებით განხორციელებული ჩანაწერ(ებ)ი მიიჩნევა ბანკის საკუთრებად.

4.3.7. კლიენტის მიერ, განაცხადში დაფიქსირებულ მობილური ტელეფონის ნომერზე გაგზავნილი SMS კოდით, საბანკო ოპერაციების დადასტურებას გააჩნია წერილობითი ფორმით შესრულებული, ქაღალდზე დაბეჭდილი, კლიენტის მიერ ხელმოწერით დადასტურებული საბუთის ტოლფასი იურიდიული ძალა. შესაბამისად საბანკო ოპერაციების კლიენტის მიერSMS კოდით დადასტურების საკითხი არ შეიძლება გახდეს მხარეთა შორის დავის წარმოშობის წინაპირობა, ისევე, როგორც ნებისმიერი სხვა დისტანციური საშუალებ(ებ)ით გაფორმებული/დადასტურებული გარიგება/ები საბანკო მომსახურების მიღება/გაწევასთან დაკავშირებით.

4.3.8. კლიენტის მიერ საბანკო ოპერაციის შესრულების SMS კოდით დადასტურების შემდეგ კლიენტს უფლება აქვს მოსთხოვოს ბანკს მის მიერ შესრულებული საბანკო ოპერაცი(ებ)ის ტოლფასი იურიდიული ძალის მქონე, ქაღალდზე დაბეჭდილი დოკუმენტის ასლის მისთვის გადაცემა.

4.3.9. ბანკის მოთხოვნის შემთხვევაში უზრუნველყოფს დისტანციური საშუალებ(ებ)ით გაფორმებული / დადასტურებული გარიგების ბანკისთვის მისაღები ფორმით/საშუალებით მიწოდებას, მატერიალური/ხელმოწერილი სახით არაუგვიანეს ბანკის მოთხოვნიდან 5 (ხუთი) კალენდარული დღისა.

4.3.10. თანახმაა ბანკის მიერ დადგენილი წესების / ლიმიტების / პირობებისა და მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, ბანკთან გარიგების, ხელშეკრულების (მათ შორის საბანკო ოპერაცი(ებ)ის წარმოებასთან, გადარიცხვების შესრულებასთან ან/და საკრედიტო ან/და სადეპოზიტო პროდუქტებთან დაკავშირებული გარიგების/ხელშეკრულების) და/ან ბანკის მიერ განსაზღვრული სხვა სახის დოკუმენტაციის გაფორმება/დადასტურება განახორციელოს ელექტრონული ხელმოწერით (მათ შორის კვალიფიციური / განვითარებული ელექტრონული ხელმოწერით), მათ შორის ელექტრონული ხელმოწერის პლატფორმის - Signify-ის მეშვეობით.

4.3.11 ელექტრონული ფორმით შესრულებულ და ელექტრონულად ხელმოწერილ გარიგებებს/ხელშეკრულებებს/დოკუმენტებს (მათ შორის საბანკო ოპერაცი(ებ)ის წარმოებასთან / გადარიცხვების შესრულებასთან ან/და საკრედიტო ან/და სადეპოზიტო პროდუქტებთან დაკავშირებულ გარიგებებს) აქვთ მატერიალური დოკუმენტისა და კლიენტის მიერ პირადი ხელმოწერით დადასტურებული გარიგების/ხელშეკრულების/დოკუმენტის ტოლფასი/თანაბარი იურიდიული ძალა. გარიგების/ხელშეკრულების/დოკუმენტის ელექტრონული ფორმით შესრულების/ხელმოწერის/გაფორმების საკითხი არ შეიძლება გახდეს მხარეთა შორის დავის წარმოშობის წინაპირობა.

4.3.12. ბანკმა / შპს "ენჯითი როქით სოლუშენსმა" (ს/ნ 405432580, შემდგომში - „ენჯითი“) კლიენტის პერსონალური მონაცემები დაამუშავოს ელექტრონული ხელმოწერის პლატფორმის - Signify-ის მეშვეობით მომსახურების გაწევის / კვალიფიციური, განვითარებული ელექტრონული ხელმოწერის განხორციელების მიზნ(ებ)ისთვის. ბანკი, მათ შორის უფლებამოსილია, წინამდებარე პუნქტით გათვალისწინებული მიზნ(ებ)ისთვის კლიენტის პერსონალური მონაცემები გადასცეს ენჯითის.

4.4. **ბანკს უფლება აქვს:**

4.4.1. არ შეასრულოს ის ოპერაციები, რომლებიც ეწინააღმდეგება ამ და თიბისი კონცეპტ კლიენტთან დადებული სხვახელშეკრულებ(ებ)ის პირობებსა და მოქმედ კანონმდებლობას.

4.4.2. მოითხოვოს თიბისი კონცეპტ კლიენტისაგან ბანკში მოუსვლელად შესასრულებელ ოპერაციებთან და/ან საბანკო მომსახურებასთან დაკავშირებით უსაფრთხოების დამატებითი საშუალებების გამოყენება.

4.4.3. ნებისმიერ დროს გააუმჯობესოს ამ ხელშეკრულებაში აღწერილი მომსახურება, შეცვალოს მისი პირობები,მახასიათებლები, რაზეც თიბისი კონცეპტ კლიენტი წინასწარ აცხადებს თანხმობას.

4.4.4. დაუკავშირდეს კლიენტს დისტანციური საშუალებებით , სხვადასხვა სახის ინფორმაციის მიწოდების და/ან საბანკომომსახურების შეთავაზების მიზნით.

4.4.5. ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება კლიენტისგან მიღებული დავალების შესრულება/არშესრულების და/ანსაბანკო მომსახურების გაწევასთან დაკავშირებით.

4.4.6. კლიენტისაგან მიღებული დისტანციური საბანკო დავალებები მის შესრულებამდე გადაამოწმოს კლიენტთან დისტანციური საშუალებ(ებ)ით და/ან პერსონალური ბანკირის ან ბანკის სხვა წარმომადგენლის მეშვეობით.

4.5. **ბანკი ვალდებულია:**
4.5.1. თიბისი კონცეპტ კლიენტის მოთხოვნის შემთხვევაში მიაწოდოს მას ინფორმაცია თიბისი კონცეპტ კლიენტისკონკრეტულ საბანკო პროდუქტთან ან საბანკო ოპერაციასთან დაკავშირებით;
4.5.2. თიბისი კონცეპტ კლიენტს გაუწიოს ხარისხიანი, დროული და კვალიფიციური კონსულტაცია საბანკოპროდუქტებთან დაკავშირებით, მისთვის ყველაზე ოპტიმალური ფინანსური პროდუქტის შერჩევის მიზნით.
4.5.3. კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით დაიცვას კონფიდენციალური ინფორმაცია თიბისი კონცეპტკლიენტისა და მისი ანგარიშების შესახებ.

5. ხელშეკრულების მოქმედების ვადა და დამატებითი პირობები

5.1. წინამდებარე ხელშეკრულება მოქმედებს განუსაზღვრელი ვადით.
5.2. წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედება შეიძლება შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ამ ხელშეკრულების პირობების შესაბამისად და/ან მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.
5.3. ფორს-მაჟორული გარემოებების (კერძოდ წყალდიდობით, მიწისძვრით, ხანძრით, გაფიცვით, სამხედრო მოქმედებით, ბლოკადით, სახელმწიფო ორგანოების აქტებით ან ქმედებებით გამოწვეული გადაულახავი/დაუძლეველი ძალის) დადგომისას მხარე ვალდებულია დაუყოვნებლივ შეატყობინოს ამის შესახებ მეორე მხარეს, თუ ასეთმა გარემოებამ შეიძლება გამოიწვიოს ან გამოიწვია ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შესრულების გადავადება.
5.4. ხელშეკრულების ცალმხრივად შეწყვეტის შემთხვევაში ინიციატორი ვალდებულია წერილობითი (მატერიალური) ფორმით და/ან დისტანციური საშუალებებით შეატყობინოს მეორე მხარეს ამის შესახებ არანაკლებ 30 (ოცდაათი) კალენდარული დღით ადრე.
5.5. მხარეთა შორის წამოჭრილი ყველა დავა და უთანხმოება გადაწყდება მოლაპარაკების გზით, მხარეთა მიერ აღიარებული ბიზნეს-ეთიკის წესებით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში დავას განიხილავს საქართველოს საერთო სასამართლო საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.
5.6. კანონმდებლობაში მომხდარი ცვლილებების შედეგად ან სხვა მიზეზით ხელშეკრულების რომელიმე მუხლის/პუნქტის მოქმედების შეწყვეტის და/ან ბათილობის შემთხვევაში ხელშეკრულების დანარჩენი მუხლები/პუნქტები ძალაში რჩება. ამ ხელშეკრულების რომელიმე ნაწილის ბათილად ცნობა არ იწვევს მთლიანი ხელშეკრულების ან მისი სხვა ნაწილების ბათილობას/შეწყვეტას.
5.7. ყველა სხვა საკითხი, რაც ამ ხელშეკრულებით არ არის გათვალისწინებული, რეგულირდება ფიზიკური პირის საბანკო ოპერაციების წარმოების შესახებ ხელშეკრულებითა და საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით.
5.8. ბანკის მიერ წინამდებარე ხელშეკრულებაში ცვლილებ(ებ)ის/დამატებ(ებ)ის შეტანა დასაშვებია ცალმხრივად, ბანკის მიერ ცვლილებ(ებ)ის/დამატებ(ებ)ის განხორციელებამდე (ძალაში შესვლამდე) 10 (ათი) დღით ადრე თიბისი კონცეპტ კლიენტისთვის დისტანციური საშუალებებით გაგზავნილი/მიწოდებული შეტყობინების / ბანკის ვებგვერდზე (www.tbcbank.ge) შესაბამისი ცვლილებების გამოქვეყნების საფუძველზე.
5.9. მხარეები თანხმდებიან, რომ სატარიფო ნაკრების განაცხადით (ასეთის არსებობისას) გათვალისწინებული საკომისიოს კლიენტის მიერ 6 (ექვსი) თვის გადაუხდელობის შემთხვევაში, უქმდება/წყდება წინამდებარე ხელშეკრულება.

დანართი N1

1. **საბანკო მომსახურება (მათ შორის ოპერაციები), რომელთა შესრულება/გაწევა შესაძლებელია დისტანციური საშუალებ(ებ)ით დადასტურებული/გაფორმებული გარიგების/დავალების შემთხვევაში:**

1.1. ანგარიშის, დეპოზიტის გახსნა/დახურვა/შეწყვეტა.
1.2. პლასტიკური ბარათ(ებ)ის დამზადება/განახლება/გაუქმება.
1.3. გადარიცხვა/კონვერტაცია სს „თიბისი ბანკის“ მიერ დადგენილი წესების / ლიმიტების / პირობების შესაბამისად
1.4. ბარათზე ვალუტის დამატება; პრიორიტეტის ცვლილება, ბარათის დაბლოკვა/ბლოკის მოხსნა.
1.5. ელექტრონულ პროდუქტებზე რეგისტრაცია (გარდა მობაილბანკისა და დიჯიპასისა).
1.6. ელექტრონული პროდუქტების ცვლილება/გაუქმება (გარდა მობაილბანკისა და დიჯიპასისა).
1.7. ბარათის უსაფრთხოების სერვისის რეგისტრაცია/გაუქმება.
1.8. ანგარიშ(ებ)იდან ამონაწერის/ცნობ(ებ)ის ფორმირება/მომზადება.
1.9.სატარიფო პაკეტზე რეგისტრაცია/პაკეტის ტიპის ცვლილება, სატარიფო პაკეტის ძირითადი ანგარიშისცვლილება/სატარიფო პაკეტის გაუქმება.

1.10.სადაზღვევო კომპანიების მიერ შემოთავაზებული სამოგზაურო დაზღვევის პროდუქტის მიღება/გაუქმება.
1.11.ბანკის მიერ განსაზღვრული საკრედიტო პროდუქტების მიღება.

2. კლიენტი აცნობიერებს, რომ წინამდებარე დანართით განსაზღვრული საბანკო მომსახურების მიღება შესაძლებელი იქნება მხოლოდ ბანკის მიერ კლიენტისთვის საბანკო მომსახურების გაწევასთან დაკავშირებით დადებითი გადაწყვეტილების მიღების, აგრეთვე ბანკის მიერ განსაზღვრული ფორმით გარიგებ(ებ)ის (მათ შორის საბანკო კრედიტის ხელშეკრულებ(ებ)ის და მისი ცვლილების) გაფორმების/დადასტურების შემთხვევაში.
3. კლიენტი ბანკს ანიჭებს უფლებამოსილებას დისტანციური საშუალებ(ებ)ით გარიგების (მათ შორის საბანკო კრედიტის ხელშეკრულებ(ებ)ის და მისი ცვლილების) გაფორმების წესი ბანკმა განსაზღვროს დამოუკიდებლად, საკუთარი შეხედულებისამებრ და იღებს ვალდებულებას შეასრულოს ბანკის მითითებები შესაბამისი საბანკო მომსახურების მიღების უზრუნველსაყოფად.